



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 139

2013 წლის 10 ოქტომბერი
ქალაქი ხაშური

სოფელ ტეზრის სასმელი წყლის სათავის რეაბილიტაციის სამუშაოების
გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2013 წლის 20 აგვისტოს (სატენდერო განცხადება (SPA430018264) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი „სოფელ ტეზრის სასმელი წყლის სათავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე“, რომელსაც 2013 წლის 11 სექტემბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. 2013 წლის 12 სექტემბერს განმეორებით გამოცხადდა (სატენდერო განცხადება (SPA130020077) გამარტივებული ელექტრონული ტენდერი „სოფელ ტეზრის სასმელი წყლის სათავის რეაბილიტაციის სამუშაოს შესყიდვაზე“, რომელსაც 2013 წლის 4 ოქტომბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. სოფელ ტეზრის სასმელი წყლის სათავის რეაბილიტაცია კი, მკაცრი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 8 ოქტომბრის N3408 მოხსენებითი ბარათის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის N52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს სოფელ ტეზრის სასმელი წყლის სათავის რეაბილიტაციის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა;
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად;
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე